გორის რაიონული სასამართლო

ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30;
ტელ: (032) 2510 555 შ/ნ 2300 / e_mail : gori@court.ge

№_ გ/ფ -1553

10 დეკემბერი 2025 წელი

,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" რედაქციას

0160, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ფანჯიკიძის ქ. N 2

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, გეგზავნებათ ანგარიში გორის რაიონულ სასამართლოსა და კასპის მუნიციპალიტეტში გორის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში 2024 წლის 12 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე შემოსული განცხადებების შესახებ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით.

დანართი: ანგარიში ერთ ფურცლად

პატივისცემით,

კობა გოცირიძე

გორის რაიონული სასამართლოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

გორის რაიონულ სასამართლოსა და კასპის მუნიციპალიტეტში გორის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით 2024 წლის 12 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე შემოსული განცხადებების შესახებ

ქ. გორი

10 დეკემბერი 2025 წელი

გორის რაიონულ სასამართლოში 2024 წლის 12 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე შემოსულია საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით 10(ათი) განცხადება. აქედან, სრულად დაკმაყოფილდა 5(ხუთი), 1(ერთი) დარჩა განუხილველი და 4(ოთხი) განცხადების ავტორს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ეთქვა უარი.

არც ერთი გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში გამოყენებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3, 28-ე და 44-ე მუხლები. ასევე, საქართველოს კანონი ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ".

საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები გაცემულია ნატალია ძურძუკის (გორის რაიონული სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსი) და ალექსანდრე ტლაშაძის (გორის რაიონული სასამართლოს მენეჯერი) მიერ.

გორის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში კასპის მუნიციპალიტეტში განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით განცხადება არ შემოსულა.

გორის რაიონულ სასამართლოსა მოხელეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევას, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ადგილი არ ჰქონია და შესაბამისად, პასუხისმგებელი პირების მიმართ დისციპლინური სასჯელი არ გამოყენებულა.

ნატალია ძურძუკი

გორის რაიონული სასამართლოს
საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი